ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2824594

ნომერი: AR1437947

თარიღი : 06.09.2016

გაცემის თარიღი : 12.09.2016

გაცნობის თარიღი : 13.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 96 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა ღლონტი პ/ნ 01030005581
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 24 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს."განტიადი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 201990532
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გელა ღლონტი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030005581

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზაზა ადეიშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზი, კერძოდ:

1. არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი არქიტექტურული პროექტი: განმარტებითი ბარათი სამუშაოების სრულყოფილი აღწერით (წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, დაგეგმილია ორივე ღიობის რეკონსტრუქცია, არსებული ბანკომატის მოხსნა, ინტერიერში სამუშაოების ჩატარება და ა.შ., რაც არ არის აღნიშნული განმარტებით ბარათში) ანაზომები დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის დაფიქსირებით (წარმოდგენილია შენობის ჩატარებული რებილიტაციის პროექტის ნახაზები, რაც არ ასახავს არსებულ სიტუაციას) და საპროექტო ნახაზები საჭირო ზომების და მასალების ჩვენებით (პროექტი სრულად უნდა ასახავდეს როგორც ფასადზე, ასევე ინტერიერში განსახორციელებელ სამუშაოებს), ფოტომასალა და ფოტომონტაჟები როგორც ფასადის, ასევე ინტერიერის ჩვენებით;
2. სამუშაოების ორგანიზების გრაფიკში სრულად იქნეს მითითებული სამუშაოების პროექტის მიხედვით;
3. დამკვეთის ინფორმაციაში დაზუსტდეს ორგანიზაციის სახელწოდება.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.